№ 32 მთავრობისვთვალი

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. ოთხშაბათი, 11 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მე-4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

საქართველოს საბ. ბიბლიოთეკა
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
№ 130

ნელტონ, ვარლან, ლევრენტი და ლიდა დავითის ძე ძიძიგურები, მათი მეუღლეები: მატრონე, ცაბო და საშა და შვილები: ქეთო, კუკუ, ავთანდილი, თამარა, შოთა, კაკო და თეიმურაზი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ჯდროოდ გარდაცვალება პირველნი ძვირფასი დისა, მეორენი მეულისა და მესამენი მამიდისა.

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძისა

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს 11 თებერვალს ფ. ნ. დროზდოვ-პოლიაევის ბენეფისი

აფრიკელი ქალი

მონაწილეობენ: ალეშკო, ვიშნევსკაია, მარკოვი, დროზდო, პოლიაევი, საბინინი, პოლიანოვი, დემიანენკო. ხუთშაბათს 12 თებ. „ევგენი ონეგინი". პარასკევს, თებ. 13 ს დაბიდან ვას ნინაწინ ლეობით „ვერტერი". 10 თებერვლისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 13. შაბათს, თებ. 14 ს ოპერა ბუშენისეული „ებესალომი და ეთერი". კვირას, 15 თებ. საღამოს დავით კლდიაშვილის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის 30 წლის იუბილეი. ორშაბათს, თებ. 16 აგვისტოს ბენეფისი „ქეთო და კოტე". 185

მინათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო

განყოფილება აცხადებს, რომ 25 თებერვალს ამა წლის სატყეო განყოფილების შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) ინიშნება საჯარო ვაჭრობა ახალციხის რაიონიდან მორების მოჭრისა და გამოტანის, მდინარე ფოცხოვისა და მტკვრის შესართავამდი ს. წნისში. პირობების გაცნობა სატყეო განყოფილებაში ყოველ დღე 1—3 საათამდის უქმეების გარდა. 183 1—1

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე ქალაქის ცენტრალურ ბაზაში (მადათოვის ქ.) აუქციონი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება სხვა და სხვა ჯვარგინი ნივთები. 168 3—3

ჯანმრთელობის დამცველი პომისარიატი

აფხაზეთში იწვევს ექიმებს აფხაზეთის საერობო საავადმყოფოებისთვის, სახელდობრ სამურზაყანოს მაზრაში: ჯუდავაში, სამერიოში, ბარგებში და ოქუმში. კოდორის მაზრაში, მოქვაში და კვიტაულში, თვიური ჯამაგირი 6.000 მან., სამგზავრო 1000 მ. ბინა გათბობა და განათება. ვისაც სურს დაიჭიროს რომელიმე ზემოთ აღნიშნული ადგილი, უნდა აცნობოს შემდეგი მისამართით. ქ. სოხუმი, აფხაზეთის მედიკო-სანიტარული განყოფილება. 165 3—1

ამა წლის 13 თებერვალს ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქის გამგეობის შენობაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რკინის ფირფიტებზე ქუჩების წარწერის შესახებ (პლაკატების დამზადების შესახებ). მსურველმა უნდა წარმოადგინოს ქალაქის სალაროში საწიდარი 10.000 მანეთი. 186 1—1

ოფიციალური განყოფილება.

წესდება*)

საქართველოს სახელმწიფო ბანკისა. ზოგადი დებულებანი.

სახელწოდება, მოწყობა და დანიშნულება ბანკისა, მისი თანხები, უფლებანი და მოვალეობანი.

1. ამ წესდების ძალით არსდება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი და ეწოდება „საქართველოს სახელმწიფო ბანკი", რომლის დანიშნულებას შეადგენს გაადვილება ფულის ტრიალისა, ხელის გამართვა მოკლე ვადიან სესხის მიცემით ვაჭრობისა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის და აგრეთვე განმტკიცება ფულის საქმისა.

2. ბანკის ძირითადი თანხა, რომლის სულ უდიდესი რაოდენობა განისაზღვრება ორმოცდაათის მილიონ მანეთით, გადაიდება სახელმწიფო ხაზინიდან.

3. ბანკის სათადარიგო თანხა, რომლის განსაკუთრებული დანიშნულებაა აანაზღაურის ზარალი, თუ ვანიცობაა ბანკის ოპერაციებს მოჰყვა იგი, უნდა შესდგეს ბანკის წმინდა მოგების ნაწილის ყოველ წლიურად გადადებით. მატება ამ თანხისა უნდა განგრძობილ იქნეს იმ დრომდე, ვიდრე შესდგება ოცდა ხუთი მილიონი მანეთი.

4. ვიდრე სათადარიგო თანხა ათ მილიონათ იქცეოდეს, ყოველ წლივ უნდა გადაიდოს წმინდა მოგებიდან არა ნაკლებ ოცი პროცენტისა, ხოლო შემდეგ, ვიდრე ეგ თანხა სრულ ნორმას მიაღწევდეს (იხ. 3), არა ნაკლებ ათის პროცენტისა.

5. უკეთუ სათადარიგო თანხა შემცირდა ზარალის გასტუნრების მიზეზით, იგი შევსებულ უნდა იქნეს იმ წესით, რომელიც მის შედგენისათვის არის დაწესებული.

6. უკეთუ ბანკის ზარალი სათადირიგო თანხამ ვერ დაჰფარა, დანაკლისი უნდა გასტუმრებულ იქნეს ძირითადის თანხიდან და შემდეგ ეს თანხა უნდა შეავსოს სახელმწიფო ხაზინამ.

7. თანხები ბანკისა და ის ფული, რომელიც მიუბარებიათ მისთვის კერძო კაცთა, დაწესებულებათა და საზოგადოებათ, აგრეთვე დეპოზიტები ხაზინებისა არ შეიძლება დაბარჯულ იქნეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

8. ბანკის ოპერაციებისაგან შემოსული წმინდა მოგება, გარდა იმისა, რაც ამა წესდებისამებრ, გადაირიცხება სათადარიგო თანხის სამატად ხაზინის შემოსავალს უნდა მიემატოს.

9. ფული, ბანკში დაბინავებული, არ შეიძლება ან შეკრულ იქნეს, ან სეკვესტრ დადებული, თუ არ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია რესპუბლიკის კანონებით, ამასთანავე ისე, რომ სათანადო შემთხვევაში ბანკს უნდა წარედგინოს მის მიერ გაცემული ბილეთები ანუ საანგარიშო წიგნაკები.

10. ბანკის უზრუნველ საყოფლად წარდგენილი ლითონი და სხვა საქონელი, კონოსამენტები და კვიტანციები სატრანსპორტო კანტორებისა, რკინის გზებისა და სანაოსნო საზოგადოებათა და სხვა გირაონი არ შეიძლება შეკრულ იქნეს, ან სეკვესტრ დადებული კერძო ან სახაზინო მოსაჩივარ-მევალის მიერ; აგრეთვე არ შეიძლება ბანკის მოვალეთა იმ ქონებაში აირიოს, რომლისათვისაც კონკურსია დანიშნული, იმ დრომდე, ვიდრე მოვალე სულ არ გადაუხდის ბანკს, რაც ვალად აუღია, ხვედრის სარგებლითა, ჯარიმითა და ხარჯით. ამიტომ გირაოს გაყიდვას, რომლითაც უნდა ანაზღაურებულ იქნეს ბანკის მიერ გაცემული სესხი, სასამართლოს ვერავითარი დადგენილება ვერ შეაჩერებს.

11. ბანკს ნება აქვს მსესხებელსავე დაუტოვოს სასარგებლოდ ან შესანახად მისგან თვისის ვალდებულების უზრუნველ საყოფად მიღებული მოძრავი ქონება, იმ პირობით კი, რომ ამისთანა ქონების სია იყოს შედგენილი თანადასწრებით არა ნაკლებ სამის მოწმისა და ადმინისტრაციის მოხელეთა და რომ ქონებას ზედ ედოს რაიმე გარეგანი ნიშანი, იმის მაჩვენებელი, რომ ქონება დაგირავებულია (ლუქის ბეჭდი, დამლა, ნიშნიანი ტყვიის ნაჭერი და სხვ.), თუ ქონება ისეთია, რომ ასეთის ნიშნის დადება შეიძლება. გირაოს დამალვისა ან გაყიდვისათვის, ვიდრე სესხი გადახდილი არ არის, მსესხებელი პასუხისგებაში მიეცემა, როგორც გამფლანგავი შესანახად მიბარებულ ქონებისა.

12. წესი ბანკის ოპერაციების განსამარტებლადა და ამა წესდების სათანადო მუხლთა დამატებად, აგრეთვე წესრიგი საქმეთმწარმოებისა და ანგარიშისა ამავე ბანკის სხვა-და სხვა დაწესებულებაში უნდა დამტკიცებულ იქნეს საბჭოს მიერ, მხოლოდ იგი წინდაწინვე უნდა შეუთანხმდეს სახელმწიფო კონტროლიორს ანგარიშების წარმოების წესრიგის თაობაზე.

13. ბანკს აქვს ბეჭედი, რომელზედაც ამოჭრილია სახელმწიფო ღერბი რესპუბლიკისა და წარწერილია: „საქართველოს სახელმწიფო ბანკი".

ბანკის ოპერაციები.

14. ბანკს ნება აქვს შემდეგი ოპერაციები აწარმოოს: 1) გაანაღდოს თამასუქები და სხვა ვადიანი ვალდებულებანი; 2) გასცეს სესხი და გადაუწყვიტოს კრედიტები მსურველთ; 3) მიღოს ანაბარი ფულად და შესანახად; 4) იყიდოს და გაყიდოს თამასუქები და სხვა გასაძღული; 5) გადაჰგზავნოს ფული და შეასრულოს სხვა საკომისიო ოპერაცია.

შენიშვნა: ბანკს უფლება აქვს თავის საჭიროებისათვის უძრავ ქონების შეძენისა და გაყიდვისა.

განაღდება თამასუქისა და სხვა ვადიან ვალდებულებისა.

15. ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს და ყოველ სხვა გვარ, სავაჭრო ანგარიშზე დამყარებულს, ვადიან ვალდებულებას, აგრეთვე მოწმობას, რომელიც ადასტურებს, რომ მის პატრონს ერგება ფული სახელმწიფო მართველობათაგან და რომელიც ბანკს უდაოდ მიჩნია, კერძო კაცთაგან, სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო ფირმათაგან, საკოოპერაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, რომელთაც კი კრედიტი აქვთ გადაწყვეტილი იმ წესით, რომელიც მიხსენებულია ამ წესდების სათანადო მუხლებში.

16. კუპონები ფასიან ქაღალდებისა, სახელმწიფოს და კერძოსი, რომელსაც კი ბანკი საზოგადოდ იღებს გირაოდ სესხის გასაცემად, თვით ასეთი ფასიანი ქაღალდები, ტირაჟში გამოსული, და სხვა, ყველას შეუძლიან წარუდგინოს ბანკს გასანაღდებლად.

17. ბანკი მიიღებს გასანაღდებლად თამასუქებს, მარტივსა და შეპირებულს, როგორც საქართველოში, ისე საზღვარ-გარეთ გაცემულს, თუ გადახდა ვალისა იმ თამასუქებით აღნიშნულია ერთ ერთ იმ ადგილას, სადაც არსებობს დაწესებულებანი ბანკისა, ან სადაც იმყოფებიან მისი კორესპონდენტები.

18. გასანაღდებლად მიღებული თამასუქები უზრუნველ ყოფილი უნდა იყოს არა ნაკლებ ორის საიმედო ხელის მოწერით.

19. თამასუქი და ვალდებულება მიიღება გასანაღდებლად მხოლოდ იმ შეთხვევაში, თუ აღნიშნული ვალის გადახდამდე დარჩენილია ვადა არა უმეტეს ექვსის თვისა.

შენიშვნა: შესაძლოა ბანკს ნება მიეცეს, ბანკის საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს გასანაღდებლად ამა თუ იმ განსაზღვრულ ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთაგან და საკოოპერაციო აქციონერთაგან თამასუქები და ვალდებულებანი, თუ აღნიშნულ ვალის გადახდის ვადამდე ექვს თვეზედ მეტი დროა დარჩენილი, ხოლო ცხრა თვეზედ მეტი კი არ უნდა იყოს.

20. სიმცირე თამასუქში აღნიშნულის ფულისა ვერ დააბრკოლებს თამასუქის განაღდების საქმეს.

21. განაღდების პროცენტის რაოდენობას აწესებს ბანკის საბჭო ვაჭრობისა და მრეწველობის ვითარებისამებრ, აგრეთვე ფულის ბაზრის მდგომარეობის მიხედვით. ეს პროცენტი შეიძლება ნაკლები იყოს მოკლე-ვადიან თამასუქების განაღდებისათვის, ვიდრე გრძელ ვადიანებისათვის.

22. სამ თვეში ერთხელ, არა უგვიანეს, უნდა გადასინჯულ იქნეს განაღდებისათვის დაწესებული პროცენტი და ყოველი ცვლილება მისი უნდა გამოცხადდეს საყოველთაო საცნობელად, თანაც განცხადება გამოიკრას ბანკის დაწესებულების ბინაზე.

23. პროცენტი განაღდებისათვის უნდა გადაახდევინოს ბანკმა წინდაწინვე იმ დღეთა რიცხვის ანგარიშით, რა ვადითაც დაწერილია ვალდებულების ქაღალდი.

24. იმ თამასუქისა და ვალდებულისათვის, რომლის ვალი უნდა გადახდილ იქნეს გარეშე იმ ქალაქისა, სადაც იგი განაღდებულია, შეიძლება, საბჭოს დადგენილებით, განაღდების პროცენტის გარდა, გადახდევინებულ იქნეს დამატებითი სასყიდელი.

25. ბანკს შეუძლიან მოითხოვოს, რა დროსაც უნდა, რომ წარედგინოს ბალანსები და ანგარიშები იმ სავაჭრო-სამრეწველო ფირმათა და კერძო საკრედიტო და საბანკირო დაწესებულებათაგან, რომელთაც თამასუქების გასანაღდებლად კრედიტი აქვთ ბანკში; აგრეთვე შეუძლიან მოითხოვოს ამონაწერები სავაჭრო დავთრებისა და სხვა ცნობაცა, რაც კი საჭირო იქნება მოვალის ქონებრივ მდგომარეობის გამოსარკვევად.

შენიშვნა: ბანკს ნება ეძლევა მოსთხოვოს რესპუბლიკის საჯარო-სამართა შორის არსებულ საკრედიტო დაწესებულებათ ბალანსები და ანგარიშები, თუნდა კრედიტი არც კი ჰქონდეთ ბანკში და ფული არ გაეტანოთ სესხად.

26. იმათ, ვინც გამოცხადებული იქნება კოტრად, ან ვინც იქამდე მიიყვანს საქმეს, რომ მისი გადასახდელი თამასუქი პროტესტში წავა, თამასუქის კრედიტი დაეხურებათ, ხოლო აღდგენა კრედიტისა შეიძლება არა სხვაფრივ, თუ არ იმ საზოგადო წესისამებრ, რომელიც მიღებულია კრედიტის მინიჭებისათვის.

27. უკეთუ ბანკში განაღდებულ თამასუქის ვალის გადამხელი კოტრი აღმოჩნდა ვადის დადგომამდე, ბანკი აუწყებს ამას თამასუქის წარმომდგენს და იგი ვალდებულია სამის დღის განმავლობაში ან გამოისყიდოს თამასუქი გაკოტრებულის ხელ-მომწერისა და ან იმის მაგიერ სხვა კეთილ-საიმედო გირაო წარმოადგინოს.

28. განსაკუთრებულს შემთხვევაში შეიძლება შეღავათი მიეცეს განაღდებულ თამასუქის მოვალეს ვადის გადადებით, ან წვრილ წვრილად შემოტანით, თუნდა პროტესტ-მოხდენილი იყოს თამასუქი, ან თუნდ პროტესტამდე არ იყოს საქმე მისული, მაგრამ ამისათვის საჭიროა საბჭოს დადასტურებული, მის წევრთა ორის მესამედის ხმის უმეტესობით ყოველ ცალკე შემთხვევაში აღებული ნებართვა ვალის რაოდენობის მიუხედავად; მაგრამ ასეთი შეღავათი შეუძლიან მისცეს საბჭომ მოვალეს არა უიმისოდ, თუ ვალი უზრუნველ ყოფილ არ იქნა გირავნობის ქაღალდით და უძრავ ქონების დასაგირავებელ მოწმობით, ან სხვა ლონისძიებით ბანკის საბჭოს შეხედულებისამებრ.

სესხი საქონლისა და საქონლის-მიერის საბუთების დაგირავებით.

29. სახელმწიფო ბანკი იძლევა სესხს ისეთის საქონლის დაგირავებით, რომელიც ადვილად და მალე არა ფუჭდება, აგრეთვე ისეთის საქონლის მიერის საბუთების დაგირავე-

*) კანონი „სახელმწიფო ბანკის დაარსებისა" დაიბეჭდა გაზ. „საქ. რესპუბლ." № 18.

ბით, რომელიც საწყობში ან გზაშია, როგორც, მაგალითად, საქონლის საწყობისა და გირავნობის მოწმობაა, კონოსამენტი და კვიტანცია სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა, ასევე რკინის-გზათა სატვირთო ბარათებისა და სხ.

30. სესხი გაიცემა მხოლოდ იმ საქონლის დაგირავებით, რომელიც ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ნუსხაშია ჩართული. საბჭო ამტკიცებს აგრეთვე იმ დაწესებულებათა სიას, რომლის საქონლის-მიერი საბუთები შესაძლოა მიღებულ იქნეს სესხის უზრუნველსაყოფელად.

31. სესხი საქონლის დაგირავებით, გარდა ლითონისა, აგრეთვე საქონლის საწყობთა მოწმობის დაგირავებით შეიძლება გაიცეს არა უმეტეს ექვსის თვის ვადისა; სესხი კონოსამენტებისა და სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა კონოსამენტებისა და კვიტანციების დაგირავებით, ის საქონელი, რომლისათვისაც ეს საბუთების ქაღალდებია მიცემული, უნდა დაზღვეულ იყოს ისევენაირად და იმ ვადითვე სხვა გვარ შემთხვევისაგანაც.

37. ხარჯი ხელმეორედ საქონლის აწონის და გაზომვისა, აგრეთვე შენახვა-დაცვისა და დაზღვევისა დამგირავებელმა უნდა იკისროს.

38. გირაოდ მიღებული საქონელი უნდა ინახებოდეს კეთილ საიმედო ბინაზედ, რომელიც ბანკის ბეჭდით უნდა იყოს დაბეჭდილი. თუ ბანკის გამგეობა საჭიროდ დაინახავს, შეუძლიან ცალკე ზედამხედველობა მიუჩინოს დაგირავებულს საქონელს მის დასაცველად, ხოლო ამისათვის ბანკის მიერ გაწეული ხარჯი უნდა გადახდეს დამგირავებელს.

39. ბანკს ნება აქვს შეამოწმოს დაგირავებული საქონელი, რაც თავის დროზე უნდა ეცნობოს მესხებელს, და, თუ საჭიროა, მიიღოს ღონისძიება, რათა საქონელი გაფუჭებას გადაარჩინოს. ამისათვის გაწეული ხარჯი დამგირავებელს უნდა გადაჰხდეს.

40. თუ დაგირავებული საქონელი გაფუჭდა, ან თუ საქონლის ფასმა დაიწია ათის პროცენტით, ვიდრე შეფასებული იყო და მიღებული გირაოდ, აგრეთვე თუ საქონელი, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს სესხს, დაიკარგა, მსესხებელი, ბანკის მოთხოვნისამებრ, მოვალეა შესაბამი ნაწილი გადაიხადოს ან დამატებითი გირაო წარადგინოს, თუ ბანკის მოთხოვნა გამოცხადების შემდეგ ექვს დღეში არ შეასრულა მსესხებელმა, სესხად აღებული ფული ვადის გასვლამდე გადაჰადება.

41. სესხად აღებული ფული შეიძლება ვადამდე იქნას გადახდილი მთლად, ან ნაწილ ნაწილ და თან განთავისუფლდეს გირაოდ მიღებული საქონელი, ბანკის შეხედულებისამებრ. ბანკი იჭერს მხოლოდ სარგებელს მთელს ბანკს ვალდებულების ქაღალდს დაწესებულის სახისას, რომელშიაც მოხსენებული უნდა იყოს უმთავრესი პირობანი სესხისა.

36. დასაგირავებლად წარმოდგენილი საქონელი, თუ ცეცხლისაგან შეიძლება დაზიანდეს, ან განადგურდეს, უნდა დაზღვეულ იქნას ისე, რომ ჯამი დაზღვევისა ათის პროცენტით მაინც აღემატებოდეს სესხის რაოდენობას და დაზღვევის ვადაც ყოველ შემთხვევაში ერთის თვით მეტი იყოს, ვიდრე სესხის ვადაა, იმ პირობით, რომ პოლისი ბანკში ინახებოდეს და იმ ბანკის ჭირაც, სადაც საქონელია დაწყობილი, ერთის თვით მაინც მეტი იყოს გადახდილი, ვიდრე ის ვადაა, რა ვადითაც საქონელია დაგირავებული. ამას გარდა, როცა სესხი გაიცემა სანაოსნო და სატრანსპორტო დაწესებულებათა კონოსამენტებისა და კვიტანციების დაგირავებით, ის საქონელი, რომლისათვისაც ეს საბუთების ქაღალდებია მიცემული, უნდა დაზღვეულ იყოს ისევენადვე და იმ ვადითვე სხვა გვარ შემთხვევისაგანაც.

სესხის გაცემა ფასიან ქაღალდების დაგირავებით.

46. სახელმწიფო ბანკი აძლევს სესხად ფულს დაგირავებით: 1) ყველა სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფასიან ქაღალდისა; 2) საიპოტეკო კრედიტის დაწესებულებათა ობლიგაციისა და გირავნობის ფურცლის და ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ აღებულ სესხის ობლიგაციისა და 3) ბანკის საბჭოს რჩევით უცხო ქვეყნის ქაღალდისა და მთავრობის მიერ იმ ფასიან ქაღალდისა, რომელიც მიღება გირაოდ ხაზინის მიერ.

47. ბანკის საბჭო აწესებს ყოველ სამის თვისათვის ღირებულობას გირაოდ მისაღებ ფასიან ქაღალდისას იმ ვარაუდით, თუ რა ფასი აქვს ამ ქაღალდს ბირჟაზედ; აწესებს აგრეთვე, თუ რაოდენი ფული შეიძლება გაიცეს სესხად ამ ქაღალდის დაგირავებით. ეს რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს: სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ქაღალდისათვის ოთხმოც პროცენტს შეფასებისას, საიპოტეკო კრედიტის გირავნობის ფურცლისა და ობლიგაციისათვის—სამოცდაათს, ხოლო სხვა ქაღალდებისათვის—სამოცს პროცენტს.

48. სესხი გაიცემა ექვსის თვის ვადით, არა უმეტეს; როცა ვადა დადგება სესხის გადახდისა, შეიძლება ბანკის შეხედულებისამებრ, ვადა განაგრძობილ იქნეს, მაგრამ არა უმეტეს სამის თვისა.

49. პროცენტის რაოდენობას სესხად გაცემულ ფულისათვის ბანკის საბჭო განსაზღვრავს. ეს რაოდენობა შესაძლოა ერთი და იგივე არ იყოს სხვა-და-სხვა ქაღალდისათვის. სარგებელი ვადამდის უნდა გადახდევინებულ იქნეს წინდაწინვე, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ოცდაათ დღეზედ არა ნაკლები. თუ სესხი ვადამდე იქნა გადახდილი, ბანკი დაიჭერს სარგებელს სრულის თვისას, თუნდა მხოლოდ თვის დამდეგი იყოს, ხოლო დანარჩენ ვადის სარგებელს მსესხებელს უკან დაუბრუნებს.

50. სესხის აღებისთანავე მსესხებელი აძლევს ბანკს ვალდებულების ქაღალდს, რომელშიაც აღნიშნულია უმთავრესი პირობანი სესხისა. თავის მხრივ ბანკი აძლევს მსესხებელს სახელიანს ბარათს, რომ მიღო გირაბად ქაღალდები. ეს ბარათი ისე არ შეიძლება გადაეცეს სხვას ვისმეს, თუ არ აღინაშნა ბანკის დავთრებში.

51. თუ სესხის ვადა გადაცილებულ იქნა ბანკს უფლება აქვს გაჰყიდოს გირაო ექვსის საშეღავათო დღის გასვლის შემდეგ. მისთვის სავალდებულო არ -რის აუწყოს ეს დამგირავებელს. შემოსულ ფულიდან ბანკი სესხს დაიბრუნებს, აიღებს სარგებელს გაყიდვის დღემდე და აინაზღაურებს ყველა ხარჯს, ხოლო რაც გადარჩება, გირაოს პატრონს დაუბრუნებს. დღიდან ვადის გადაცილებისა თორმეტი წლიური პროცენტი უნდა იქნეს ნაანგარიშევი.

52. ბანკი ჰყიდის გირაოს იმ შემთხვევაშიაც, როცა საბირჟო ფასი დაგირავებულ ქაღალდისა ათს პროცენტს დაიკლებს იმ შეფასებისას, რა შეფასებითაც იყო გირაოდ მიღებული, და ამასთანავე როცა გირაოს პატრონი ექვსის დღის განმავლობაში დღიდან ამის შესახებ განცხადებისა არ შემოიტანს დამატებითს გირაოს, ან არ გადაიხდის შესაბამს ნაწილს ვალისას.

გადაწყვეტა კრედიტისა სპეციალ სახელდახელო ანგარიშით.

53. ბანკს ნება აქვს გადაუწყვიტოს კრედიტი მსურველს სპეციალ სახელდახელო ანგარიშით ისეთის გირაოთი, რომელიც მიიღებს და აწესებენ მის ფორმებს, ერთ მთავარ დებულებას მაინც უცვლელს და სამუდამოდ ხელუხლებელს სტოვებენ. ეს არის საფრანგეთის მართვა გამგეობის ფორმის შეუცვლელობა კონსტიტუციის ძალით. საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონებში ნათქვამია, რომ „მართველობის რესპუბლიკანური ფორმა არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“ (1875 წ. კონსტიტუციის მერვე მუხლი).

ეს 1875 წლის კონსტიტუციის დამატებაა, რომელიც მიღო საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ (სენატის და დეპუტატთა პალატის შეერთებულმა კრებამ) 1884 წელს. აი ეს დამატება პირდაპირ ნაკარნახევია იმ პოლიტიკური პირობებით, რომელშიაც წარმოიშვა მესამე რესპუბლიკა და შემუშავდა საფრანგეთის უკანასკნელი კონსტიტუცია. მისი ისტორიული დედა აზრი ის არის, რომ საფრანგეთის 1875 წ. საკონსტიტუციო კანონები პირდაპირ არ აღიარებდენ რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის შემოღებას. მონარქისტებს, რომლებიც საკონსტიტუციო კანონების მიღების დროს თითქმის იმდენი იყვნენ ნაციონალურ კრებაში, რამდენიც რესპუბლიკანელები, შეეძლოთ ამით ესარგებლად და კანონიერის გზით, კონსტიტუციის ძალით გაეუქმებიათ რესპუბლიკა და აღედგინათ მონარქია. ეს იყო უმთავრესი მოსაზრება, რომელმაც აიძულა 1884 წლის ნაციონალური კრება კონსტიტუციაში შეეტანა დამატების სახით „ძირითადი პრინციპი“ რესპუბლიკანური წყობილების უცვლელობის შესახებ. ამით აეყარათ იარაღი მონარქისტებს, რომლებიც ამიერიდან უნდა გამოსთხოვოდენ ლეგალური საშუალებით თავის მთავარი მიზნის განხორციელებას.

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციაც მიღებული 1917 წელს აგვისტოს 21 ამბობს, რომ არ შეიძლება გადასინჯვის საგნად გახდეს ისეთი წინადადება, რომელსაც მიზნად აქვს მართვა გამგეობის რესპუბლიკანური ფორმის გაუქმება. (განყ. VII, სტ. 82, § 2.)

ბ. ხაყვარელიძე.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს კონსტიტუციისთვის.

6.

დემოკრატიული რესპუბლიკა.

აქამდი ჩვენ გვქონდა სახეში სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფო, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი პოლიტიკური ორგანიზმი. ხოლო ამ გარემოების აღნიშვნა არაფერს გვეუბნება ჩვენ თვით სახელმწიფოს პოლიტიკური წესწყობილების ფორმის და შინაარსის შესახებ. ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია—ყველა ესენი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოებია. მაგრამ მათი პოლიტიკური წყობილება ერთნაირი სრულებით არ არის. ინგლისი პარლამენტარული მონარქიაა, საფრანგეთი — პრეზიდენტული, ბურჟუაზიული რესპუბლიკა, ხოლო შვეიცარია—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ამიტომ საჭირო იყო ჩვენს კონსტიტუციაში მოკლეთ და ზოგადათ აღნიშვნა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური მართვა-გამგეობის ფორმის. სწორეთ ამას ეხება საზოგადო დებულებათა პირველი მუხლის მეორე ნაწილი: „უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა, არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს დებულება პირველ ყოვლისა არსებითათ ეთანხმება დამოუკიდებლობის აქტში უკვე გამოთქმულ აზრს: „დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკა“. აქ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დამოუკიდებლობის აქტი არ ლაპარაკობს საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმის—დემოკრატიული რესპუბლიკის მუდმივობასა და უცვლელობაზე. და ეს განსხვავება როგორც პრინციპიალური ისე პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ამ საკითხს ეძლევა მნიშვნელობა ე. წოდებულ კონსტიტუციის გადაშინჯვის საქმეში. მაშასადამე ამას შევეხებით ჩვენ უფრო დაწვრილებით მაშინ, როცა კონსტიტუციის გადაშინჯვას განვიხილავთ. ახლა შეიძლება მხოლოდ ის ითქვას, რომ ფორმა ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიული რესპუბლიკაა, რომელიც—კონსტიტუციის ძალით არასოდეს არ გადაისინჯება, არასოდეს არ შეიცვლება, როგორც უნდა შეიცვალოს თვით ჩვენი კონსტიტუცია. მისი გადაშინჯვა კი შეიძლება მოხდეს მთელათ ან ნაწილობრივათ.

ჩვენ ვგულისხმობთ ლეგალურ, კანონიერ, კონსტიტუციურ უფლებას და საშუალებას, რომელიც ეყრდნობა ერთხელვე აღიარებულ სრულუფლებოვან ხალხის უზენაესს ნებისყოფას და რომელსაც, როგორც ვთქვით, პოლიტიკური „დაცვის გარანტიის“ ხასიათი აქვს.

არის ერთი გზა კონსტიტუციაში აღიარებულ წყობილების (დემოკრატიული რესპუბლიკა) დასანგრევათ და შესაცვლელათ. ეს არის გზა აჯანყების დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. „სახელმწიფოს კონსტიტუცია,—ამბობს ელინეკი („Измѣненіе и преобразованіе конституцій, გვ. 7), შეიძლება ძირიანათ შეიცვალოს ძალმომრეობით. ყველა რევოლიუციის მიზანია კონსტიტუციის შეცვლა“. ყოველი გამარჯვებული რევოლუცია ქმნის ახალ უფლებას. გარდა რევოლიუციისა კონსტიტუციის შეცვლა ხდება დაპყრობით, შეერთებით, ჩამოცილებით და სხ. (ibid.).

საერთოდ ეს მართალი მოსაზრებანია. მაგრამ ამ ჟამათ ჩვენ სხვა საკითხი გვაინტერესებს. ჩვენ კონსტიტუციურ და უფლებრივ ნიადაგზე ვდგევართ. სხვანაირათ კონსტიტუციის ნორმების შეუშავება შეუძლებელია. სუვერენულ სახელმწიფოს, მის სუვერენულ ხალხს შეუძლია შესცვალოს, სულ უარყოს ძველი ან სულ ახალი კონსტიტუცია მიიღოს. საკითხს რომ სრულებით ჩამოვაშოროთ პოლიტიკური ხასიათი და სულ განყენებულათ წარმოვიდგინოთ უფლებრივ-კონსტიტუციური ვითარება, უნდა ვთქვათ, რომ შეუძლებელია კონსტიტუციის რომელიმე დებულების მუდმივობასა და უცვლელობაზე ლაპარაკი. დამფუძნებელი ძალა-უფლება შეუზღუდველია. კონსტიტუციის დამფუძნებელი ან გადამშინჯველი დემოკრატიულ სახელმწიფოებში თვით ხალხია, პირდაპირათ თუ არაპირდაპირათ, და მას აქვს ურყეველი უფლება კონსტიტუციური კანონები შესცვალოს ისე, როგორც სურს და შეეფერება მის ინტერესებს. ჯერ კიდევ სიეესი ამბობდა, რომ ხალხის დამფუძნებელი ძალა უფლება, ხელმწიფება pouvoir konstituant, არ არის შეზღუდული და არც შეიძლება შეიზღუდოს არავითარი კონსტიტუციური ფარგლებით. ეს ხალხის ბუნებრივი უფლებაა. კლარკის თქვით, „ყველა ხალხს და ერს აქვს თავისუფლება ფ უფლობა ასწოროს და ცვალოს თავის კონსტიტუციები“. საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია 1793 წ. ამბობს:

„ხალხს ყოველთვის აქვს უფლება გადასინჯოს, გააუმჯობესოს და შესცვალოს თავისი კონსტიტუცია. ერთს თაობას არ შეუძლია თავის კანონებით საუკუნოთ შეზღუდოს ყველა მომავალი თაობანი“.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ საფრანგეთის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1793 წ.) აღიარებს კონსტიტუციის ცვლილების მუდმივ შესაძლებლობას. ერთს თაობას არ აქვს უფლება ისეთი კონსტიტუცია დასწეროს, რომელიც შეკრავს და შეზღუდავს მომავალ თაობათა ნებასა და სურვილს. ასეთია ბუნება და ხასიათი ხალხის სუვერენიტეტის პრინციპების და უფლებრივი წყაროს სათავის—დამფუძნებელი ძალისა და ხელისუფლების. ცხადზე უცხადესია, რომ ეს მუდმივი ცვლილების შესაძლებლობა ეხება, როგორც მთელ კონსტიტუციას ისე მის რომელიმე ნაწილს, როგორც კონსტიტუციაში გამოსახულ სახელმწიფოებრივ პრინციპებს ისე სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ფორმას.

მაგრამ ჩვენთვის არა ნაკლებ საყურადღებოა სწორეთ ის, რომ დღევანდელი საფრანგეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო კანონები, თუმცა აღიარებენ გადასინჯვის საჭიროებას და აწესებენ მის ფორმებს, ერთ მთავარ დებულებას მაინც უცვლელს და სამუდამოდ ხელუხლებელს სტოვებენ. ეს არის საფრანგეთის მართვა გამგეობის ფორმის შეუცვლელობა კონსტიტუციის ძალით. საფრანგეთის საკონსტიტუციო კანონებში ნათქვამია, რომ „მართველობის რესპუბლიკანური ფორმა არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“ (1875 წ. კონსტიტუციის მერვე მუხლი).

ეს 1875 წლის კონსტიტუციის დამატებაა, რომელიც მიღო საფრანგეთის ნაციონალურმა კრებამ (სენატის და დეპუტატთა პალატის შეერთებულმა კრებამ) 1884 წელს. აი ეს დამატება პირდაპირ ნაკარნახევია იმ პოლიტიკური პირობებით, რომელშიაც წარმოიშვა მესამე რესპუბლიკა და შემუშავდა საფრანგეთის უკანასკნელი კონსტიტუცია. მისი ისტორიული დედა აზრი ის არის, რომ საფრანგეთის 1875 წ. საკონსტიტუციო კანონები პირდაპირ არ აღიარებდენ რესპუბლიკანურ მართვა-გამგეობის შემოღებას. მონარქისტებს, რომლებიც საკონსტიტუციო კანონების მიღების დროს თითქმის იმდენი იყვნენ ნაციონალურ კრებაში, რამდენიც რესპუბლიკანელები, შეეძლოთ ამით ესარგებლად და კანონიერის გზით, კონსტიტუციის ძალით გაეუქმებიათ რესპუბლიკა და აღედგინათ მონარქია. ეს იყო უმთავრესი მოსაზრება, რომელმაც აიძულა 1884 წლის ნაციონალური კრება კონსტიტუციაში შეეტანა დამატების სახით „ძირითადი პრინციპი“ რესპუბლიკანური წყობილების უცვლელობის შესახებ. ამით აეყარათ იარაღი მონარქისტებს, რომლებიც ამიერიდან უნდა გამოსთხოვოდენ ლეგალური საშუალებით თავის მთავარი მიზნის განხორციელებას.

პორტუგალიის რესპუბლიკის კონსტიტუციაც მიღებული 1917 წელს აგვისტოს 21 ამბობს, რომ არ შეიძლება გადასინჯვის საგნად გახდეს ისეთი წინადადება, რომელსაც მიზნად აქვს მართვა გამგეობის რესპუბლიკანური ფორმის გაუქმება. (განყ. VII, სტ. 82, § 2.)

ბ. ხაყვარელიძე.

(გაგრძელება იქნება).

ბა სესხის ვადით გასაცემად. აგრეთვე ისეთ თამასუქის დაგირავებით, რომელიც აკმაყოფილებს მის განაღდებისათვის საჭირო მოთხოვნილებას. ბანკს მმართველობამ და საბჭომ ერთად უნდა გადაწყიტონ, რაოდენი კრედიტი შეიძლება მიენიჭოს კერძო საკრედიტო დაწესებულებას სპეციალ სახელდახელო ანგარიშით.

54. ხსენებული კრედიტი შეიძლება მიენიჭოს მსურველს იმ პირობით, რომ აღებული სესხი ან დაუყოვნებლივ იქნეს გადახდილი, ბანკის პირველ მოთხოვნილებისამებრ, ან შემდეგ, იმ ვადაზედ, რომელიც წინდაწინვე დაინიშნება.

55. მსესხებელნი თავის კრედიტს სარგებლობენ განსაკუთლებულ წერილისა ან ჩეკის შემწეობით. სპეციალ სახელდახელო ანგარიშით სარგებელი უნდა გადახდილ იქნეს იმ ვადაზედ, რომელიც დაწესდება ამ ანგარიშების დრო და დრო დასასკვნელად. იმ ხნის მიხედვით, რა ხანსაც ფულს ხმარობდა მსესხებელი; ხოლო თუ ფული აღებულია ფასიან ქაღალდების დაგირავებით, სარგებელი უნდა გადახდილ იქნეს არა ნაკლებ ათის დღისა.

56. ყოველ სხვა შემთხვევაში სახელდახელო სპეციალ ანგარიშით წარმოებული კრედიტი ექვემდებარება წესდების ყოველ იმ დადგენილებას, რომელიც შეეხება ვადიან სესხის გაცემას იმავე გირაობის მიღებით.

საქართველოს დამფუძნებელი კრების

თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

29 იანვრის სხდომა.

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მაგიერ—ე. გეგეჭკორი; მინისტრები—ბ-ნნი კანდელაკი, ლორთქიფანიძე, ერაძე, ხომერიკი; მინისტრთა ამხანაგები—ბ-ნნი ჭეჭნიძე, ცინცაძე, ბახტაძე, გედევანიშვილი, ჭავჭანიძე, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი—ბ-ნი ანდრონიკაშვილი; საქმეთა მმართველი—კ. ჯაფარიძე, მდივანი დ. დიდებულიძე.

ზრუნვა სახელმწიფო შენობებზე.

ყველა სახელმწიფო შენობები ტეხნიკური თვალყურის დევნის მხრივ დაექვემდებაროს სამხედრო სამინისტროს ტეხნიკურ სექციას, რომელიც შეკრებს დაწვრილებით ცნობებს შენობების რაოდენობის შესახებ და ყველა, ამ თვალყურის დევნასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტის დროს იქონიებს მჯელობას რკინის გზასთან არსებულ ინჟენერთა საბჭოსთან.

დახმარება ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულის ოჯახს.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში, გადაიდოს 10000 მან 10 მილიონიან ფონდიდან ეპიდემიასთან ბრძოლის დროს დაღუპულ ფერშალ სამსონ დარსაველიძის ქვრივისთვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენათ.

უცხოელ აქციონერულ საზოგადოებათა მოქმედება საქართველოში.

ფინანსთა მინისტრის მოხსენება უცხოელთა აქციონერულ საზოგადოებათა საქართველოში მოქმედების შესახებ გადაეცეს დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს.

დეპარტამენტის დირექტორი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორათ დაინიშნოს ეპიფანე ნესტორის ძე ალშაბაია.

ეროვნული სამხატვრო გალერეა.

დაარსდეს ქ. ტფილისში საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეა. დებულება საქართველოს ეროვნულ სამხატვრო გალერეის და შტატები მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

სასწავლო კომიტეტის დაარსება.

განათლების მინისტრის მოხსენება სასწავლო კომიტეტის დაარსების შესახებ დროებითი ინსტრუქციითურთ მიღებულ იქმნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ინსტრუქციის მე-8, 9 და 13 პარაგრაფები ამოიშალოს.

დახმარება ბათუმის გიმნაზიას.

მოხსენება ბათუმის გიმნაზიისათვის ერთდროულათ 299,205 მან. დახმარების აღმოჩენის შესახებ ხარჯთ-აღრიცხვითურთ მიღებულ იქნას და დაეავალოს განათლების მინისტრს წარუდგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

ავტომობილები.

მიეწეროს ქალაქთა კავშირს, რათა ის ავტომობილები, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს და ქალაქთა კავშირს დროებით ჰქონდა სარგებლობისთვის გადაცემული, თან და თან დაუბრუნდეს გზათა უწყებას.

კახეთის რკინის გზაზე საფოსტო ტვირთის გადიდება.

კახეთის რკინის გზაზე საფოსტო ტვირთის გადასაზიდათ აწ არსებული ფასი (12 კაპ. ვაგონ ვერსზე) გადიდებულ იქნას 40 ჯერ, რაც შეადგენს თითო ვაგონ-ვერსზე—4 მან. და 80 კაპ.

ყოველივე გადიდება საქონლის გადასაზიდ ტარიფისა ავტომატიურათ ვრცელდებოდეს კახეთის რკინის გზაზე გადასაზიდ საფოსტო ტვირთზედაც.

სამხედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი.

გადაიდოს სამხედრო მინისტრის განკარგულებაში 15000 მან. ყოველთვიურათ 10 მილიონიან ფონდიდან სამხედრო ტაძრის გუნდის შესანახათ იმ პირობით, რომ ეს გუნდი სიონის ტაძარსაც ემსახურებოდეს.

სამეურნეო იარაღების შესაძენათ.

მიღებულ იქნას და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება სამეურნეო მანქანების და სხვა მასალების შეძენის საქმის მოსაგვარებლათ 1,140,000 მან. გადადების შესახებ.

შინაგან საქმ. სამინისტროში

ასურეთის თემის მუშაობის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დამფუძნებელ კრების კანცელარიიდან მიიღო ამონაწერი დამფუძნებელ კრების წევრის პ. მიშლის მოხსენებიდან, რომელიც ეხება ასურეთის თემის (ბორჩალოს მაზრაში) შემადგენლობას. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თემის გამგეობაში ყველანი უცოდინარი პირებია, რაც ხელს უშლის ნაყოფიერ მუშაობას გამგეობის წევრები არაფერს აკეთებენ ამის გარდა, რომ კრებებ გადასახადს და თავის ნებრით აწენებენ რაც გადასახადსაო და სხვ. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა ბორჩალოს სამაზრო ერობას და სთხოვა დაჩქარებით გადმოგზავნოს მან დაწვრილებითი ახსნა-განმარტება.

ფოთის ქალაქის გამგეობის შეკითხვა.

ქ. ფოთის თვითმართველობის გამგეობამ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს განუმარტოს მას შემდეგი: „ქალაქის თვითმართველობას და აგრეთე მოქალაქეებს ხშირათ უხდებათ მიმართვა დამზღვევ საზოგადოებასადმი. ვინაიდან ამ საზოგადოების აქაური კონტორები მოწყვეტილია თავიანთ რუსულ ხთავარ კონტორებს, ქალაქის თვითმართველობა გთხოვთ აცნობოთ მას, აქვს, თუ არა რომელიმე ამ საზოგადოებათაგანს ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის მხრივ რაიმე გარანტია და თუ აქვს, სახელდობრ რომელს. თუ ასეთი გარანტია არც ერთ მათგანს არა აქვს, როგორ უნდა მოიქცეს ქალაქი იმ შემთხვევაში, როდესაც მას კანონი ავალებს ქონების დაზღვევას“.

ამ საკითხის გამოსარკვევათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტება სთხოვა ფინანსთა მინისტრს.

ს. პატარა გომარეთის გადასახლება

ბორჩალოს მაზრის სოფ. პატარა გომარეთის მცხოვრებლებმა მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვენ გადასახლების ნებართვას ბარათაშვილის ყოფილ ადგილში, ეგრეთ წოდებულ „დია“-ში. გადასახლებას პატარა გომარეთლები ასაბუთებენ მიწის სიმწროვით. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საქმის შესახებ შეეკითხა მიწათ მოქმედების სამინისტროს.

ს. წალენჯიხელ მეჯოგეების თხოვნა.

ზუგდიდის მაზრის სოფელ წალენჯიხის მცხოვრები მეჯოგეები სთხოვენ შინაგან საქმეთა მინისტრს საძოვარზე და საქონლის გატარებაზე ბაჟის შემცირებას.

ეს თხოვნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაუგზავნა მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმის გამოსარკვევათ.

სამხედრო სამინისტროში

მე-5 ათასეულის ჯარისკაცთა თეატრის გახსნა.

შაბათს, 7 თებერვალს, ქ. ტფილისში, მეხუთე ათასეულის ბინაზე მოხდა საზეიმო გახსნა ათასეულის ჯარისკაცთა თეატრისა. გახსნას დაესწრენ სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის წარმომადგენლები პოლკ. ტ. ართმელაძე და ალ. ქორქოლიანი, აგრეთვე ათასეულის მთელი აფიცრობა. ჯარის კაცებს სამხედრო მინისტრის სახელით მიესალმა პოლკ. ართმელაძე. წარმოდგენილ იქნა ჯარისკაცების მონაწილეობით „ორი მშიერი“ და „ტიმოთეს ლენტი.“ რომლებიც ძალიან მხიარულათ ჩატარდენ. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. წაიკითხეს ჯარის კაცებმა ლექსები და სცენები. ჯარისკაცთა ორომ მშვენიერათ შეასრულა ქართული სიმღერები. ლეიტენანტ ხარსელის ლოტბარობით. პიესები დაიდგა ლეიტენანტ ბადრიაშვილის ხელმძღვანელობით. უკრავდა მეხუთე ათასეულის ორკესტრი. გახსნისას შესრულებულ იქნა ჰიმნი. ჯარის კაცები აღტაცებული იყვნენ საღამოთი, მხიარულება დასრულდა 9½ საათზე.

განათლების სამინისტროში

ფოთის საზღვაო სასწავლებლის შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა.

განათლების სამინისტრო იმუშავებს ფოთის საზღვაო სასწავლებლის შტატებსა და წლიურ ხარჯთ აღრიცხვას. ამ მიზნით სამინისტრომ ტფილისში დაიბარა ხსენებულ სასწავლებლის უფროსი პირველი რანგის კაპიტანი გოგავა.

5 მილიონ მანეთის სესხი ქ. შ. წ-კ. გ. საზ-ებას.

განათლების სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების შუამდგომლობას 5 მილიონიან სესხის გადადების შესახებ.

გორის ქალთა გიმნაზიის შენობის ბედი.

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურმა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა განათლების სამინისტროს წინაშე, რათა მას დაეთმოს საწყობებისათვის გორის ქალთა გიმნაზიის შენობა, ვინაიდან ეს გიმნაზია ყოფილ სასულიერო სასწავლებლის შენობაში გადავიდა. შუამდგომლობა ჯერ ჯერობით ღიათ დარჩა, რადგან გორის გიმნაზიის შენობის გაყიდვის საკითხი ჯერ გამოურკვეველია.

შავი ზღვის მხარე.

გამათავისუფლებელი კომიტეტი.

შავი ზღვის მხარის გლეხთა გამათავისუფლებელმა კომიტეტმა შემდეგი ბრძანება გამოსცა 28 იანვარს.

1. დღეიდან კომიტეტი განაგებს სოჭის ოლქს;

2. ყველა სამოქალაქო ადმინისტრაცია და აგრეთვე მთავრობისა და საზოგადო დაწესებულებათა, უნდა დარჩეს ადგილზე განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

3. ვინც კომიტეტის ბრძანებას და განკარგულებას არ დაემორჩილება სასტიკ პასუხისგებაში იქნება მიცემული. („სლ.“)

პატარა შენიშვნები

ბოლშევიკების დიპლომატია.

ეს უკანასკნელი კვირა გულმოდგინეთ ამუშავა მოსკოვის რადიომ.

ნოტა ადერბეიჯანს, ნოტა საქართველოს, ზავის წინადადება პოლონეთის მთავრობას, დეკლარაცია პოლონეთის ხალხს, ზავი ესტონეთთან.

ასეთი იყო რუსეთის საბჭოთა მთავრობის საგარეო მუშაობა უკანასკნელ დღეებში.

ბოლშევიკების ლიტონ სიტყვებს თუ ანგარიშში არ მივიღებთ, რაც ჩვენის ღრმა რწმენით, არც არის მისაღები და მათ მოქმედებას ჩავუკვირდებით, მოსკოვის რადიოს და ბ-ნ ჩიჩერინის „დიპლომატიურ თამაშს“ ერთი მიზანი აქვს:

ზავი დასავლეთთან, ომი აღმოსავლეთში!..

არ გაიზიარა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასმა რუსული კომუნიზმი, ამიტომ საბჭოთა რუსეთის მიზანი—მსოფლიო იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის დანგრევა განუხორციელებელი რჩება.

ლენინის მთავრობაც ასეთ პირობებში ცოტათი სულის მოთქმის, ან როგორც თითონ ლენინი ამბობდა ბრესტ-ლიტოვსკის სამარცხვინო ზავის შემდეგ, „პერედიშკის“, გაძრომ-გამოძრომის გზას ადგება...

მოლაპარაკებას აწარმოებს მოკავშირე სახელმწიფოებთან,—თითქოს ამ სახელმწიფოებსა და საბჭოთა რუსეთს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა ეწყობა.

საბჭოთა რუსეთი ზავსა ჰკრავს ესტონეთთან, რა თქმა უნდა, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად, სიტყვიერად მაინც. ზავის შეკვრის წინადადება ეძლევა პოლონეთს, ბალტიის მხრის სახელმწიფოებს და სხ.

და ყველა ეს ხდება იმიტომ, რომ დასავლეთ ევროპას, ამერიკას საბჭოთა რუსეთმა დაუმტკიცოს თავისი მშვიდობიანობა, ზავისადმი მისწრაფება, ესტონეთთან დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი, რომელიც შეიცავს ესტონეთ—მოსკოვ—პეტროგრადის მომავალი რკინის გზის, ტყვეების კონცესიას, განა იმის საბუთი არ არის, რომ აქ საბჭოთა რუსეთს პატარა ესტონეთის უკან დასავლეთ ევროპის ან ოკეანეს გალმა მდებარე დიდი სახელმწიფო უდგას?

ეს საბჭოთა რუსეთმაც კარგათ იცის, მაგრამ ის „დიპლომატიურ თამაშს“ ეწევა. ამით მას სურს თვალები აუხვიოს ევროპას და ამერიკას.

და თუ ამ ხრიკის მიხედვით ჩატარება მოახერხეს ბოლშევიკებმა დასავლეთში, სამუსლიმანო აღმოსავლეთში, სამაგიეროთ, ბოლშევიკების ძლიერი მუშტი მოხვდება მოკავშირე სახელმწიფოებს, რაც ადვილი შესაძლებელია, საბედისწერო შეიქნეს ამ სახელმწიფოებიჭ სათვის.

წარმოვიდგინოთ, რომ გაიმარჯვა ბოლშევიკების აღმოსავლეთის პოლიტიკამ, განა მაშინვე დასავლეთმა ქედი არ უნდა მოიხაროს აღმოსავლეთის წინაშე?

რა დარჩება მაშინ პატარა ესტონეთს იმ 15 მილიონ ოქროდან, რომელიც მას ბოლშევიკებმა გადასცა ან იმ კონცესიებიდან, რომელიც მიანიჭ?

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი?! შეიძლება იკითხოს ვინმემ, მაგრამ განა ძალით არ მოუგონებიათ ბოლშევიკებისათვის ეს პრინციპი ყველგან?

ეს ჩვენ კარგათ ვიცით და, მაშასადამე, როცა ძალა ბოლშევიკების ხელში იქნება, ეს პრინციპიც მივიწყებული დარჩება.

საქართველოსა და ადერბეიჯანისადმი მომართული ჩიჩერინის ნოტებში, ალბათ, ბევრი გულუბრყვილო ყურადღებას აქცევს იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია ერების თვითგამორკვევაზე და სხ.

ნამდვილათ კი, საქმეზე ბოლშევიკებს ასეთი თვითგამორკვევა არ სწამთ. საქართველოს ტერიტორია მათთვის რამდენიმე საათის გასავლელი გზაა, საიდანაც ისინი სამუსლიმანო აღმოსავლეთში გადავლენ. ასე უკვერის საერთოდ საქართველოს ყოველი ბოლშევიკი, როგორც შინ გამოზრდილი—პატარა ჭკუა შეგნების, ისე ფართო ორიზონტის პატრონი!..

მაგრამ არც იმდენათ ძლევა-მოსილია ბოლშევიზმი, რომ მან თავისუფლად შესძლოს საქართველოს ტერიტორიაზე გასეირნება.

მდგომარეობის გათვალისწინება, მისი ზედმიწევნით შესწავლა და ამის მიხედვით მზადება, მებრძოლთ ძალების დაგროვება,—აი რაში ჩვენი ხსნა..

ქალაქის საბჭო

9 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთათვის მეათე მომატების შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი. როგორც ვიცით წარსულ კრებაზე საბჭომ ხსენებული საკითხი გასარჩევად და თავისი აზრის წარმოსადგენად გადასცა საფინანსო საბიუჯეტო კომისიის და გამგეობის შეერთებულ სხდომას. მოურავი მოახსენებს სხდომას თუ რა დასკვნამდე მივიდა შეერთებული სხდომა წარმოების მუშების შესახებ, ამბობს მომხსენებელი, ეს საკითხი 60 პროცენტის მომატების შესახებ, საკამათო არ იყო და ეს ერთხმად იქნა მიღებული. კამათი გამოიწვია ხნოლოდ მოსამსახურეთა მუშებისაგან გამოყოფამ და მათთვის სხვა და სხვა მიმატებამ. სხდომის ერთ ნაწილს უხერხულად და უსამართლოდაც მიაჩნდა მოსამსახურეთათვის ნაკლები ზომატების მიცემა. გარდა სხვა მოსაზრებისა 60 პროცენტის მომატებით განსხვავება იქნება მხოლოდ 558,185 მანეთი და ეს არ არის ისეთი დიდი თანხა, რომ ამით იმათ გული აუცრუოთო. ამის გამო შეერთებულმა სხდომამ დაადგინა: როგორც წარმოების მუშებს, ისე ქალაქის ყველა მოსამსახურეებს მიემატოთ 60 პროცენტი, მუშებს 1 იანვრიდან, ხოლო მოსამსახურეთ 1 თებერვლიდან. უკანასკნელი განსხვავება შეერთებულმა სხდომამ მიიღო, ვინაიდან მან გაითვალისწინა ჩვენი კასის სიღარიბე და რო

759

თუ მოსამსახურეთაც 1 იანვრიდან მივცემდით-მაშინ ჩვენ ვერ გადვიხდიდით ბუშების ჯამაგირსაც.

ამის შემდეგ შეერთებულმა სხდომამ მოისმინა მოხსენება ზოგიერთ მოსამსახურეთათვის პროცენტების გარდა კიდევ მომატების შესახებ. ასეთია:

1) ქალაქის საავადმყოფოს ექიმები, ისინი შუამდგომლობენ, რათა მათი ჯამაგირები გაგვითანასწორებინა რკინის გზის ექიმების ჯამაგირებთან. გამგეობამ და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომამ სამართლიანად სცნო მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება. ეს მომატება ყველა ექიმებზე გამოიწვევს თვიურად 83,000 მანეთის ხარჯს;

2) მილიციის კომისრებსა და მათ თანაშემწეთ უნდა გაუდიდდეთ ჯამაგირები. შეერთებული სხდომის აზრით კომისრის ჯამაგირი უნდა გადიდდეს 4000 მანეთამდე, თანაშემწის კი 3400 მანეთამდე.

3) ქალაქს ჰყავს სკოლის სამი ინსპექტორი. ისინი 60 პროცენტის მომატების შემდეგ მიღებენ 4,800 მანეთს. კომისიის აზრით მათ უნდა მიცეთ 6000 მანეთი.

4) ტრამვაისა და სასურსათო გაყოფილების ბუჰგალტერებს უნდა მოუმატოთ 6,000 მანეთამდე.

5) ტრამვაის ხახელოსნოებში მომუშავე მანტიორებს და მექანიკოსებს უნდა გაუდიდეთ პირველს 4600 მანეთამდე, მეორეს კი 5100 მანეთამდე, 60 პროცენტისა და უკანასკნელად მოხსენებული კერძო დამატებები გამოიწვევს თვიურად 5,200,246 მანეთს. თუ რა ყაროებით გადვიხდით ამას, კომისიამ ორ კრებაზე ვერ შესძლო ამის გადაწყვეტა და მომავალ სხდომაზე კი მოგახსენებთ თუ რა გზით შევძლებთ ამ მომატებების გადახდას.

გველესიანი: საბიუჯეტო კომისიის სახელით დასძენს, რომ კომისიის აზრით გამგეობის წევრებს უნდა გაუდიდდეთ ჯამაგირი 8000 მანეთამდე, ქალაქის თავს კი უნდა მიეცეს 9000 მანეთი.

გომართელი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ეთანახმება 60 პროცენტის მომატებას, მხოლოდ კომისიის დადგენილებაში შეაქვს შესწორება: იმ მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობენ 3000 მანეთამდე მიეცეთ 60 პროცენტიანი მომატება, ხოლო იმათ ვინც 3000-ზე მეტს ღებულობენ, მიეცეთ 1800 მანეთი იმ პირობით, რომ მათი ჯამაგირების ძირითადი განახვავება დარჩეს. მომატება ყველას პირველ იანვრიდან უნდა მიეცეს. შემდეგ მომატებებს ჩვენი ფრაქცია ეთანხმება. საბჭომ ივ. გომართლის შესწორებით, მიიღო გამგეობის წინადადება. ამის შემდეგ საბჭო ისმენს ქალაქის მოურავის მოხსენებას არტისტულ საზოგადოების თეატრის შენობის იძულებითი ჩამორთმევის შესახებ. ის აცნობს საბჭოს გამგეობის გადაწყვეტილებას მთელი შენობა ელექტრონის სადგურით და სხვა შენობებით შეძენის შესახებ იმ ფასებში, რის უფლებასაც კანონი იძლევა.

მზარეულოვი აცხადებს, რომ ამ შენობის ჩამორთმევა ქალაქს არ შეუძლია, ეს არ შედის მის კომპეტენციაშიო. თუ ჩამორთმევა აუცილებელი იქნება, მაშინ ელექტრონის სადგური და სხვა მ ღაზიები უნდა ჩამოერთვას.

ლლონტი აღნიშნავს, რომ ასეთ ზომებს უფრო განათლებულ ქვეყნებში, ევროპაშიც მიმართავენ, თუ ჩვენ ამ საკითხს შეეხედავთ სამართლიანობის პრინციპის მხრივ არც აქვენებით ჩვენ მტყუანი, ვინაიდან შენობის პატრონმა რამდენჯერმე აიღო ხალხისაგან. ის მოითხოვს, რომ პატრონს უფასოთ ჩამოერთვას შენობა. რაც შეეხება მაღაზიებს, ეს ქალაქს დასჭირდება სასურსათო ოპერაციებისათვის. ლლონტი საბჭოს საყურადღებოდ აცხადებს, რომ ხსენებულ თეატრში ბილეთების ფასები ხალხისათვის ხელმისაწდომი უნდა იყვისო.

გოთუა. ხაზს უსვამს კერძო საკუთრების მნიშვნელობისათვის და მოითხოვს, რომ ამ საკითხს ფრთხილად მოეკეკენ. მას შენობის ჩამორთმევა სამართლიანად მიაჩნია, ხოლოდ რადგანაც შეთანხმება ვერ მოხერხდა უნდა მოხდეს შეფასება და სამართლიანი ფასი მიეცეს პატრონს.

ახმეტელი წინადადებას იძლევა ჩამორთმეულ იქნას თეატრის მოწყობილობაც.

ელიავა, რომ ასეთი კანონი იძულებითი ჩამორთმევისა წინადაცეყო, ამას ყველა სცნობს, მხოლოდ მაშინ იგი სხვა წესით იყო. ჩვენ ფრთხილად ვეპყრობით კერძო საკუთრებას, ამას მოწმობს თვით ჩვენი კანონიც. ჩვენი ფრაქციისათვის საეჭვო არ არის, რომ ქალაქს ამის სრული უფლება აქვს. რაც შეეხება მზარეულოვის განცხადებას, თეატრი შეიძინეთ და მაღაზიები დასტოვეთო—ჩვენ ვიძენთ შენობას მთლიანად და არა ნაწილათ. ჩვენ არაფერი არ გვექნება შეთანხმების წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ეს არ მოისურვა მეპატრონემ და არც მოხერხდა, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია კანონი დავარღვიოთ.

რაც შეეხება ავეჯეულობას ეს საკითხი აქ არ უნდა დაისვას, ვინაიდან ჩვენ ვყიდულობთ თეატრს მთლად და არა ავეჯეულობას კერძოთ.

გომართელს შესწორება შეაქვს გამგეობის წინადადებაში: თუ შეთანხმება მოხდება საბჭო უფლებას აძლევს გამგეობას წარმოდგენილი ფასი 10-ჯერ გაადიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოერთვას იმ ფასებში, რომლის უფლებასაც კანონი გვაძლევს.

საბჭომ მიიღო წინადადება:

არტისტიული თეატრის შენობა ჩამოერთვას პატრონს იძულებით, თუ შეთანხმება მოხდა ერთ კვირაში—მიეცეს ქალაქის გამგეობას უფლება ხსენებული თანხა 10 ჯერ გაადიდოს—შენობის გამოსაყიდათ.

კრება დაიხურა ღამის $11^1/_2$ საათზე.

დავით კლდიაშვილის იუბილე

— ორშაბათს, 9 თებერვალს შესდგა დავით კლდიაშვილის საიუბილეო კომისიის და მწერალთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, სადაც გაირჩა იუბილეს დღის წესრიგი და სხვა და სხვა იუბილესთან დაკავშირებული სასწრაფო საკითხები.

— დ. კლდიაშვილის პატივსაცემლად იუბილეს დღეს გამოვა სპეციალური კრებული იუბილიარის სურათით, მიოგრაფიით, კრებული დაიბეჭდება საუკეთესო ქალალდზე მშვენიერი ყდით. მონაწილეობას იღებენ ივ. გომართელი, პაოლო იაშვილი, ნიკ. შიუკაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვარლამ რუხაძე, ხარიტონ ვარდოშვილი, არტ. ხუნაზაროვი, შიო მღვიმელი, გ. ქუჩიშვილი, შ. ამირეჯ ბი და სხვანი.

— დ. კლდიაშვილის საიუბილეო კომისიის და მწერალთა საბჭოს სხდომები ხდება ყოველ ღღე, საღამოს 7 საათზე, მწერალთა კლუბ. „ქიმერიონში", ყველას, ვინც დაინტერესებულია იუბილეთი, და რაიმე მონაწილეობის ბიღება სურს, შეუძლია მიმართოს ნაჩვენებ ადგილას.

— იუბილიარი დ. კლდიაშვილი ტფილისს ჩამოვა შაბათს, 14 თებერვალს.

— ქუთაისის დრამატიული საზოგადოების თხოვნით დ. კლდიაშვილის იუბილე გაიმართება ქუთაისში სხვა დროს იუბილიარის თანადასწრებით.

ბანცხადებანი

დანიელ გრიგოლის ძე რუსტამოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 517, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 230 3—1

ნინო ჩიგოგიძე აცხადებს, რომ მან 14 იანვარს დაჰკარგა სასურსათო ბარათი № 2276, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 231 3—1

შალვა ვიქტორის ძე აბრამიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელდო აღრიცხვის უფროსის მიერ მიცემული მოწმობა № 82, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 231 1—1

ლუდმილა ივანეს ასული ლიპკა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ქალაქის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 225 3—1

კავკასიის სინოდალური კანტორა აცხადებს, რომ ნიკოლოზ ალექსის ძე ნიკოლაევი მიწვეულია სინოდალურ კანტორაში ორი კვირის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, რათა მან ხელი მოაწეროს კანტორის დადგენილებას მის ცოლთან ნატალია ვასილის ასულ ნიკოლაევასთან განქორწინების შესახებ. თუ ის არ გამოცხადდა აღნიშნულ ვადაზე, დადგენილება № 227 სისრულეში იქნება მოყვანილი. 193 1—1

საქართველოში სოციალისტთა ეპარქიალური კონსისტორია ეძებს გორის მცხოვრებს გასპარ არუთინის ძე მანუკიანს მის ცოლთან ნინო სიმონის ასულ მანუკიანცთან განქორწინების შესახებ. 173 1—1

გრიგორი თომასის ძე როსტომიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მოწმობა, აღებული მიხტიევის ქარხნიდან. საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 228 3—

ალექსანდრე პეტრეს ძე ჩუბალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 12978 აღებული ტფილისის ყოფილ პოლისმეისტრის კანტორიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 229 3—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წ. ოქტომბრის 2-ს იქ შეიტანა თხოვნა მარიამ გიორგის ასულმა ტაბაკოვამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში, ფოთის ქ., № 6, მის ქმართან პოტაპ ოსიპის ძე ტაბაკოვთან განქორწინების შესახებ, ისინი ჯვარდაწერილი არიან 1911 წ. ნოემბრის 9-ს ჩიტაში. მთხოვნელის მარ. ტაბაკოვას განცხადებით პ. ტაბაკოვი არა სჩანს ქ. ტფილისიდან 1915 წ. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ტაბაკოვი ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას ქ. ტფილისში ერთი თვის ვადაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 189 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1920 წ. იანვრის 10-ს იქ შეიტანა თხოვნა ლუბა სტეფანეს ასულმა სკლიარენკომ, რომელიც დროებით ცხოვრობს ქ. როსტოვში, ბაღის ქ., № 56, მის ქმართან ნიკოლოზ მიხეილის ძე სკლიარენკოსთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარდაწერილი არიან განჯაში ალექს. ნეველის ტაძარში 1913 წლ. სექტემბრის 15-ს. მთხოვნელის განცხადებით ნიკოლოზ სკლიარენკო არა სჩანს ქ. ტფილისიდ 6 1914 წ. სექტემბრიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად ცხოვრობს ნიკოლოზ სკლიარენკო, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას ქ. ტფილისში, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 192 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1919 წლ. დეკემბრის 17-ს იქ შეიტანა თხოვნა თედოსი გერასიმეს ასულმა კრასნიკოვამ, რომელიც ცხოვრობს ქ. ტფილისში ვაკეზე, მის ქმართან ათანას მათეს ძე კრასნიკოვთან განქორწინების შესახებ. ისინი ჯვარ დაწერილი არიან 1901 წ. აგვისტოს 27-ს. თედოსი კრასნიკოვას განცხადებით ა. კრასნიკოვი არა სჩანს ქ. ყარსიდან 1914 წ. ამ განცხადების ძალით, ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ა. კრასნიკოვი, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას ტფილისში ერთი თვის ვადაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა. 194 1—1

ყოფილი მილიციელი არტაშეს ზაქარიას ძე ჯილავდუროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფილ. ქალაქის მილიციის უფროსისგან 1919 წელს, № 1005. მოწმობა გაუქმებულათ ითვლება. 209 3—1

ტფ. ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 10 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე თვითმართველობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ქუჩების შესაკეთებლათ საჭირო რიყის ქვის და სილის მიწოდების შესახებ. რიყის ქვა საჭირო იქნება 300 კუბ. საჟ. ნი და სილა 800 კუბ. საჟ. ყოველ გვარი პირობების გაგება შეიძლება საალმაშენებლო განყოფილების კანცელარიაში 12 ს. 2 საათამდე. 169 3—3

რუსეთის სატრანსპორტო და დამზ
ღვეევ საზოგადოების

ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ 1920 წლ. თებერვლის 15 ს, დილის 10 საათზე საგ
როთ გაიყიდება დაუხსნელი გირაოები გამოგზავნილი კრემენჩუგიდან კვ. № 6604540, ცა
რიცინიდან კვ. 6532668 ბათუმში გასაგზავნათ, ბათუმიდან კვ. № 5881448 ომსკში გასაგ
ზავნათ, ოდესიდან კ. №№ 6648634 და 6547931, მოსკოვიდან კვ. № 6393462 ომსკში
მიდის კვ. № 5578550 და ტფილისის № 76582 ბრუნებული შესანახათ კვ № 6528639 ნოვ
გოროდში გასაგზავნათ. გაიყიდება აფთიაქის საქონელი, ზეთი, კაკალი, ფეხსაცმელის კრემი
ცხვრის ტყავი და სხ. დათვალიერება შეიძლება 1 თებერვლიდან 10—1 საათამდე. 202 3—

ავჭალის შუშის ქარხნის ამხანაგობა

ამით აცხადებს პატივცემულ ბუ დველთა, როგორც ქალაქის, აგრეთვე სხვა ქალაქებში მუ
ფების საყურადღებოდ, რომ ამხანაგობის ქარხანაში მზადდება ყოველგვარი ბოთლები, ს
ფთიაქო ჭურჭლები, ლამპის შუშები, ჭიქები და სხვ. შუშის ნაწარმოები. ჭურჭლის
საქართველოს საზღვრებიდან ყველა მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ
დართულია. შეკვეთა შეიძლება პლეხანოვის პროსპ. № 108. ამხანაგობის კანტორა
ლია 9—3 საათამდე. 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა

რედაქტორის მოვალ. ალმ. გრიგოლ მაჭავარიანი